ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1935 წ. აგვისტოს 31. № 21 ტფილისი.

შინაარსი

სოციალური უზრუნველყოფა

126. ინვალიდთა კოოპერაციის დებულების დამტკიცების შესახებ. დებულება ინვალიდთა კოოპერაციის შესახებ.

სოციალური უზრუნველყოფა

126. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს

ინვალიდთა კოოპერაციის დებულების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ იქნას ქვემომდევნო დებულება ინვალიდთა კოოპერაციის შესახებ.

2. დებულება ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთების შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1927 წ. მე-4 №-ი, მუხ. 66; 1928 წ. მე-4 №-ი, მუხ. 30; 1930 წ. მე-10 №-ი, მუხ. 118; მე-16 №-ი, მუხ. 251; მე-20 №-ი, მუხ. 294; 1931 წ. მე-15 №-ი, მუხ. 130) ძალადაკარგულად ჩაითვალოს.

3. წინადადება მიეცეს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს, ამა დადგენილებით დამტკიცებული ინვალიდთა კოოპერაციის დებულების 35 მუხ. თანახმად, გადაამუშაოს ერთი თვის ვადაზე, უკანასკნელი დე-

ბულების შესაბამისად სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული არტელების კავშირის წესდება (კან. კრ. 1928 წ. ნაწილი II, № 1, მუხ. 1) და დაამტკიცოს.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. მდივანი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1935 წ. ივნისის 14. № 51/764.

ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ინვალიდთა კოოპერაციის შესახებ.

I. ზოგადი დებულებანი.

1. ინვალიდთა კოოპერაცია, არის-რა დამოუკიდებელი კოოპერატიული სისტემა და სოციალური უზრუნველყოფის ძირითადი სახე, ისახავს თავის მიზნად ინვალიდთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას და სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმას შრომითი მოწყობით თვითმოქმედების საფუძველზე.

2. კანონით ინვალიდთა კოოპერაციისათვის მინიჭებული ყველა შეღავათი და უპირატესობა ვრცელდება მხოლოდ ამა დებულებით გათვალისწინებული წესისამებრ შექმნილ და მოქმედ შენაერთებზე უკეთუ ეს შენაერთები წევრად შედიან ინვალიდთა კოოპერაციის ზემდგომ შენაერთებში.

ინვალიდთა ახლად მოწყობილ არტელებს აქვთ აღნიშნული შეღავათები სამი თვის განმავლობაში მათი წესდების რეგისტრაციის მომენტიდან, ხოლო ისინი ჰკარგავენ ამ შეღავათების უფლებას, უკეთუ აღნიშნულ ვადაზე არ შევლენ წევრად ინვალიდთა კოოპერაციის ზემდგომ შენაერთებში.

II. ინვალიდთა არტელების მიზნები და უფლებები.

3. ინვალიდთა არტელის ამოცანაა თავისი წევრების შეერთებული შრომით წარმართოს:

ა) საწარმონი ერთ ან რამდენიმე წარმოების სფეროში (საწარმოო არტელები და საზოგადოებრივი კვების არტელები);

ბ) ცალობითი ვაჭრობის საწარმონი (სავაჭრო არტელები);

გ) საწარმონი სოფლის მეურნეობის დამხმარე დარგებში და მასთან დაკავშირებულ რეწაობაში, როგორიცაა: მებოსტნეობა, მებაღეობა, წვრილი მეცხოველეობა და სხვა მისთ. (სასოფლო-სამეურნეო რეწაობის არტელები);

დ) განსაზოგადოებული სექტორის ორგანიზაციების სამეურნეო საჭიროებათა დამოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებათა მომსახურეობა(შრომითი და სავაჭრო არასასაქონლო არტელები).

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ინვალიდთა არტელს, მისი წესდების რეგისტრაციის დღიდან, აქვს იურიდიული პირის უფლებანი და, კერძოდ, აქვს უფლება წესდებაში აღნიშნული მიზნების შესაბამისად:

ა) შეიძინოს, გაასხვისოს და იჯარით აიღოს ქონება, აგრეთვე შეიძინოს გადასამუშავებლად ნედლეული, ნახევარფაბრიკატი, მასალა, უტილ-ნარჩენი და გადანაყარი;

ბ) მიჰყიდოს უშუალოდ თავისი წარმოების პროდუქცია როგორც სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს, ისე ცალკეულ მომხმარებელთ ბაზარში, თავის საწყობებში, მაღაზიებში, ფარდულებში და სხვ.;

გ) მოაწყოს თავისი წევრების შრომა სხვადასხვა ნაკეთობის საწარმოებლად და პირველ ყოვლისა—ფართო მოხმარების საგნებისა, და როგორც არტელის კუთვნილ და იჯარით აღებულ საწარმოში, ისე შემკვეთთა სადგომებში და არტელის წევრთა სახლებში;

დ) მოაწყოს სასადილოები, ბუფეტები და საზოგადოებრივი კვების სხვა საწარმონი;

ე) აწარმოოს ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთებისაგან, განსაზოგადოებული სექტორის სხვა საწარმოთაგან და უშუალო მწარმოებელთაგან—არაკოოპერირებულ შინამრეწველთა, კოლმეურნეთა და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეთაგან შეძენილი საქონლის ცალობითი და წვრილ-ცალობითი ვაჭრობა;

ვ) მიიღოს შეკვეთა, ნარდი სამუშაო, იკისროს გაყიდვა-მიწოდება და აგრეთვე მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში;

ზ) გაუწიოს თავისი წევრების შრომით მომსახურეობა განსაზოგადოებული სექტორის ორგანიზაციათ და საწარმოთ, აგრეთვე მოსახლეობას;

თ) მოაწყოს თავისი წევრების შრომა სოფლის მეურნეობის დამხმარე დაგებში და მასთან დაკავშირებულ რეწაობაში და გამოიყენოს ნაწარმოები პროდუქტები პირველ ყოვლისა თავისი წევრების და ინვალიდთა კოოპერაციის საწარმოთა მოსამარაგებლად;

ი) იკისროს ვალდებულებანი, ისარჩელოს და პასუხი აგოს სასამართლოში;

კ) დაიქირაოს იმ სამუშაოების შესასრულებლად, რაც საჭიროებს სპეციალურ ცოდნას, ან რაც არ ძალუძთ ინვალიდებს, მუშები და მოსამსახურეები არა უმეტეს, ვიდრე არტელის წევრთა საერთო რიცხვის 20 პროცენტის რაოდენობით; იმ არტელში, რომელსაც აქვს სასოფლო-სამეურნეო საწარმო, შეიძლება მუშა-ძალის დაქირავება სასეზონო სამუშაოების პერიოდში 40 პროცენტამდე; უსინათლოთა არტელში შეიძლება მუშა-ძალის დაქირავება არტელის წევრთა რიცხვის 50 პროცენტის რაოდენობით;

ლ) მოამარაგოს თავისი წევრები სურსათით და ფართო მოხმარების საგნებით; მოაწყოს მათი მომსახურეობისათვის სასადილოები, დამხმარე სასოფლო-სამეურნეო საწარმონი, საერთო საცხოვრებლები, კულტურულ-საყოფაცხოვრე

ვბო და საგანმანათლებლო დაწესებულებები, აგრეთვე განახორციელოს საბინაო მშენებლობა და გაუწიოს თავის წევრებს იურიდიული დახმარება;

მ) მოაწყოს წესდებით გათვალისწინებული ფონდები და აიღოს სესხი;

ნ) იმოქმედოს სხვაგვარად, როგორც საჭირო იქნება არტელის წესდებით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.

III. ინვალიდთა არტელის შედგენილობა და წევრების უფლება-მოვალეობანი.

5. ინვალიდთა არტელის წევრებად შეიძლება იყვნენ საარჩევნო უფლების მქონე შემდეგი პირნი და აგრეთვე არასრულწლოვანნი 16-დან 18 წლის ასაკამდე:

ა) ყველა ჯგუფისა და კატეგორიის ინვალიდი და აგრეთვე ის პირი, რომლის შრომაუნარიანობაც საექიმო-საშრომო საექსპერტო კომისიის მიერ ცნობილია შეზღუდულად, და რომელსაც, მოქმედი კანონის თანახმად, აქვს სოციალური უზრუნველყოფის უფლება შრომითი მოწყობის ფორმით;

ბ) ომის ინვალიდის, მასთან გათანაბრებული პირის და შრომის ინვალიდის შრომაუნარიანი ქვრივი, უკეთუ მას ჰყავს ბავშვი, რომელსაც 18 წელი არ შეჰსრულებია, აგრეთვე შრომაუნარიანი პირი, რომლის მზრუნველობაზედაც იმყოფება ინვალიდი, უკეთუ ამ უკანასკნელს არ შეუძლია სხვის დაუხმარებლად ყოფნა;

გ) ის პირი, რომელიც სიბერის გამო უზრუნველყოფილია სოციალური დაზღვევის წესით;

დ) ის პირი, რომელსაც აქვს პერსონალური პენსიის მიღების უფლება;

ე) ის მომუშავე, რომელიც იღებს პენსიას ნამსახურ წელთა გამო;

ვ) შრომის გმირი, რომელიც უზრუნველყოფილია სოციალური დაზღვევის ორგანოს მიერ;

ზ) ყოფილ პოლიტიკურ კატორღელთა და გადასახლებულთა საზოგადოების წევრი;

თ) შრომაუნარიანი პირი, რომელიც არჩეულია ხელმძღვანელ სამუშაოზე ინვალიდთა არტელში საერთო კრების ან რწმუნებულთა კრების მიერ.

6. ინვალიდთა არტელი შეიძლება დაარსებულ იქნას და იმოქმედოს ქალაქად, უკეთუ მას ჰყავს არა ნაკლებ შვიდი წევრისა, ხოლო სოფლად,—უკეთუ ჰყავს არა ნაკლებ ხუთი წევრისა.

არტელის დამაარსებლად არ შეიძლება იყვნენ ისეთი პირნი, რომელთაც აერთებთ ქორწინება, და აგრეთვე მშობლები და შვილები, ძმები და დები პაპები და შვილი-შვილები.

7. არტელში წევრებად შესვლა და არტელიდან გამოსვლა ნებაყოფლობითია.

8. არტელის ყველა წევრი მოვალეა მიიღოს მის მუშაობაში მონაწილეობა პირადი შრომით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც ერთ წევრთაგანს არ შეუძლია უარი სთქვას მისთვის დაკისრებულ სამუშაოზე. უარისთვის პატივსადები მიზეზის გარეშე დაიდება გადასახდელი თვით არტელის შედგენილობიდან გამორიცხვაც-კი.

ერთსა და იმავე დროს ორ არტელში წევრად ყოფნა აკრძალულია. ხოლო ინვალიდთა არტელის წევრი, რომელიც ეწევა სასოფლო-სამეურნეო რეწვაობას, შეიძლება ერთსა და იმავე დროს იყოს აოტელშიც და კოლექტიურ მეურნეობაშიაც.

9. ინვალიდთა არტელში წევრად შესვლის მსურველ პირთათვის არტელს შეუძლია დააწესოს წინასწარი გამოცდა ხანგრძლივობით არა უმეტეს ორი თვისა.

არტელის კანდიდატთა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს არტელის წევრთა საერთო რიცხვის 20 პროცენტს.

გამოცდაზე ყოფნის დროს კანდიდატები დაქირავებულ მომუშავედ არ ითვლებიან, და არტელი მათ უსწორდება იმავე საფუძვლებზე, როგორც არტელის წევრებს.

10. კვალიფიციური მუშა-ძალის მომზადების მიზნით არტელი აიყვანს შეგირდებს იმ პირთა რიცხვიდან, რომელთაც აქვთ არტელში კოოპერირების უფლება.

სწავლების დროის განმავლობაში შეგირდი არ ითვლება დაქირავებული შრომის პირთა ნორმაში.

ინვალიდთა არტელში შრომის პირობები უნდა შეესაბამებოდეს იმ პირობებს, რაც დადგენილია მოქმედი კანონით საერწაო კოოპერაციის შეგირდობისათვის.

11. არტელის თვითეულ წევრს უნდა ჰქონდეს პაი.

პაის რაოდენობის მიუხედავად, არტელის ყველა წევრს აქვს თანაბარი უფლება მონაწილეობა მიიღოს არტელის მართვა-გამგებლობაში და გამოიყენოს მისი მომსახურეობა.

არტელის ვალდებულებებისათვის არტელის წევრი პასუხს აგებს თავისი ხვედრი საპაიო შენატანის ფარგლებში.

12. ინვალიდთა არტელის წევრისა და მისი ოჯახის უზრუნველყოფას დროებითი შრომაუნარიანობისა, არტელში მუშაობასთან დაკავშირებით ჯანმრთელობის გაუარესებისა და აგრეთვე სხვა გაჭირვების შემთხვევაში ანხორციელებენ ინვალიდთა კოოპერაციის საურთიერთო დაზღვევისა და საურთიერთო დახმარების სალაროები, რომლებიც მოქმედობენ განსაკუთრებული კანონის თანახმად.

IV. ინვალიდთა არტელების სახსარი.

13. ინვალიდთა არტელის სახსარს შეადგენს წევრთა შესასვლელი, საპაიო და სხვა შენატანი, რაც მათ შეაქვთ წესდების თანახმად, და აგრეთვე დანაგროვთა ანარიცხები და სხვა შემოსავალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არტელი დამოუკიდებლად განაგებს საკუთარ საბრუნავ სახსარს და ხელ-თავის ქონებას; მას ეძლევა კრედიტი ბანკში და შეუძლია მიიღოს ბანკის კონტროლით ავანსები შემკვეთთაგან.

14. შესასვლელი და საპაიო შენატანის რაოდენობა და აგრეთვე არტელის წევრებისათვის საპაიო შენატანის დაბრუნების წესი განისაზღვრება არტელის წესდებით, სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის მითითებათა შესაბამისად.

15. არტელში წევრის მიერ შეტანილი პაი არ შეიძლება გადაეცეს სხვა პირს, სხვათა შორის არტელის წევრსაც.

16. ინვალიდთა არტელის წევრების საპაიო შენატანზე არ შეიძლება მიექცეს გადასახდელი არტელის ცალკეულ წევრთა ვალისა და ვალდებულების გამო და აგრეთვე მათდამი მიმართულ უდავო და ადმინისტრატიულ მოთხოვნათა გამო.

V. ინვალიდთა არტელების მმართველობისა და კონტროლის ორგანოები.

17. ინვალიდთა არტელის მმართველობის ორგანოებია: არტელის წევრთა საერთო კრება ან რწმუნებულთა კრება და გამგეობა; კონტროლის ორგანოა სარევიზიო კომისია.

საერთო კრების ან რწმუნებულთა კრების უფლება-მოვალეობანი, აგრეთვე გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევის წესი და უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება არტელის წესდებით. წესდებითვე განისაზღვრება არტელის წევრთა რიცხვი, რომლის მიხედვითაც წევრთა კრება შეიცვლება რწმუნებულთა კრებად.

VI. ინვალიდთა არტელების კავშირები.

18. ინვალიდთა არტელების წინაშე მდგარი ამოცანების უფრო წარმატებით განხორციელებისათვის არტელები გაერთიანდებიან ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთების რესპუბლიკანურ კავშირად და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთების კავშირებად ტერიტორიალური ნიშნის მიხედვით.

ინვალიდთა არტელების კავშირის მოსაწყობად საჭიროა მონაწილეობა არა ნაკლებ ხუთი არტელისა.

19. საქართველოს სსრ ინვალიდთა კოოპერაციის მთელი საქმიანობის გაერთიანებისა და ხელმძღვანელობისათვის ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთების კავშირები გაერთიანდებიან სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთების კავშირად „სრულსაქინკოოპკავშირი“.

20. ინვალიდთა არტელების კავშირები:

ა) მოაწყობენ ინვალიდთა ახალ არტელებს, მიაქცევენ-რა განსაკუთრებულ ყურადღებას ინვალიდების კოოპერირებას ნაციონალურ რაიონებში და შორეულ ადგილებში; იხმარებენ ღონისძიებას არსებულ არტელებში ახალი წევრების

ჩაბმისათვის და უზრუნველჰყოფენ არტელების სათანადო სოციალურ შენგენილობას;

ბ) გაუწევენ ინსტრუქტირებას არტელებს საორგანიზაციო და სატექნიკო-საწარმოო მუშაობის სფეროში, ხელს შეუწყობენ-რა მათი საქმიანობის განვითარებას სოციალისტურ საფუძვლებზე და არტელების წევრთა ყოფა-ცხოვრების კოლექტიური მომსახურეობის ორგანიზაციას; გაუკეთებენ რევიზიას არტელების საქმიანობას;

გ) დაგეგმავენ მათ მიერ გაერთიანებული არტელების მუშაობას კოოპერირებისა, სამეურნეო მუშაობისა, საორგანიზაციო და კულტურული მშენებლობისა, სახსართა მობილიზაციისა, კაპიტალური მშენებლობისა და კადრების მომზადების სფეროში; გაანაწილებენ თავიანთ წევრებს შორის ნედლეულისა, ნახევარფაბრიკატებისა და საქონლის საგეგმო კონტინგენტებს და აგრეთვე მიზნობრივ ცენტრალიზებულ კრედიტებსა და ფონდებს;

დ) ხელს შეუწყობენ ინვალიდთა შრომისათვის მისაწვდომ ახალ წარმოებათა განვითარებას არტელებში, უმთავრესად ადგილობრივ უდეფიციტო ნედლეულზე; აგრეთვე იხმარებენ ღონისძიებას არტელების საწარმოო და სავაჭრო საქმიანობის რაციონალიზაციისათვის, ეცდებიან-რა მიაღწიონ თვითღირებულების შემცირებას და პროდუქციის თვისების გაუმჯობესებას;

ე) გაუწევენ არტელებს ხელმძღვანელობას და დახმარებას სხვადასხვა რეწაობაში კოოპერირებული ინვალიდების გამოყენებისათვის და ხელს შეუწყობენ მუშა-ძალის წესიერ განრიგებას საწარმოს შიგნით;

ვ) შეაგროვებენ, დაამუშავებენ და გამოაქვეყნებენ მასალებსა და გამოკვლევებს, აგრეთვე გამოსცემენ პერიოდულ და არაპერიოდულ ლიტერატურას ინვალიდთა კოოპერაციის საქმიანობის საკითხებზე; მოიწვევენ ყრილობებსა და თათბირებს იმავე საკითხებზე;

ზ) აღრიცხავენ მათ მიერ გაერთიანებული არტელების საორგანიზაციო და სამეურნეო საქმიანობას და გაუწევენ მათ ინსტრუქტირებას აღრიცხვისა და ანგარიშგების ორგანიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

თ) ხელს შეუწყობენ არტელებს მათი წარმოებისათვის ნედლეულისა და, ნახევარფაბრიკატების დამზადების ჩატარებაში და აგრეთვე ვაჭრობისათვის საქონლის შეძენაში; მიაწოდებენ არტელებს საწარმოო იარაღს, ნედლეულს, ნახევარფაბრიკატებს და საკუთარი დამზადების საქონელს;

ი) ხელს შეუწყობენ არტელებს პროდუქციის გასაღების მოწყობაში და, თვით ანხორციელებენ ამ პროდუქციის გასაღებას, დასდებენ-რა არტელებთან ნებაყოფლობითს ორმხრივ სამეურნეო შეთანხმებებს და მოაწყობენ-რა ბაზებს, საწყობებს და სხვ.;

კ) შეჰქმნიან წესდებით გათვალისწინებულ ფონდებს და აიღებენ სესხს; აწარმოებენ თავიანთი წევრების დაფინანსებას და დაკრედიტებას მოქმედი კანონით გათვალისწინებული წესისამებრ;

ლ) ხელს შეუწყობენ არტელებს შრომისა და უშიშროების ტექნიკის დაცვის გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებათა განხორციელებაში; კონტროლს გაუწევენ არტელების მიერ ამ ღონისძიებათა ჩატარებას; ხელს შეუწყობენ ფართო მოხმარების საგნებით და აგრეთვე საკვები პროდუქტებით თავიანთი წევრების მომარაგების ორგანიზაციაში, შექმნიან-რა ამისათვის საკუთარ საბოსტნე მეურნეობებს, საკურდღლეებს, საღორეებს და სხვა მისთ.; დახმარებას უწევენ არტელებს მათი წევრების საბინაო საჭიროებათა დაკმაყოფილებისა და აგრეთვე კულტურულ-პოლიტიკური დონის ამაღლების სფეროში;

მ) ეწევიან არტელების ინტერესების წარმომადგენლობას ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების წინაშე და უწევენ მათ იურიდიულ დახმარებას;

ნ) მოაწყობენ არტელებში ინვალიდების სწავლებას და ხელახლად სწავლებას და ხელმძღვანელობას უწევენ მათ, გააერთიანებენ-რა ყველა ღონისძიებას ინვალიდთა კოოპერაციის მომუშავეთა კადრების დაწინაურებისათვის, ამ მომუშავეთა აღრიცხვისა და განაწილებისათვის ინვალიდთა კოოპერაციის ცალკეულ რგოლეულებზე;

ო) გადასწყვეტენ საარბიტრაჟო წესით ქონებრივ დავებს ქვემდგომ ორგანიზაციებს შორის;

პ) ხელს შეუწყობენ ინვალიდთა კოოპერაციის საურთიერთო დაზღვევისა და საურთიერთო დახმარების სალაროების მოწყობას.

21. ინვალიდთა კოოპერაციის საორგანიზაციო მუშაობისა, აღრიცხვისა და სადირექტივო და საპერსპექტივო დაგეგმვის ხელმძღვანელობას და აგრეთვე წარმომადგენლობას ცენტრალური ორგანოების წინაშე ანხორციელებს სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერაციის კავშირი (სრულსაქინკოოპკავშირი).

22. ინვალიდთა არტელების კავშირების მმართველობის ორგანოებია: რწმუნებულთა კრება, გამგეობა და გამგეობის პრეზიდიუმი.

„სრულსაქინკოოპკავშირის“ მმართველობის ორგანოებია: ყველა კავშირის წევრთა რწმუნებულების კრება და საქართველოს სსრ ინვალიდთა კოოპერაციის რესპუბლიკანური კავშირის გამგეობა და გამგეობის პრეზიდიუმი, რომელნიც შეივსებიან ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ინვალიდთა კოოპერაციის კავშირთა წარმომადგენლებით რწმუნებულთა კრების მიერ დადგენილი რაოდენობით.

ინვალიდთა კავშირების და „სრულსაქინკოოპკავშირის“ საკონტროლო ორგანოებია სარევიზიო კომისიები.

23. „სრულსაქინკოოპკავშირის“ და ინვალიდთა კოოპერაციის კავშირებს აქვთ იურიდიული პირის უფლებანი.

VII. ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთების მოქმედებისათვის ზედამხედველობის გაწევა და მათ წესდებათა დამტკიცება და რეგისტრაცია.

24. ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთები წარმართავენ თავიანთ მუშაობას საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატისა, ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალური ორგანოებისა და სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელობით.

ამ ორგანოებს უფლება აქვთ:

ა) გამოსცენ ამა დებულების განსავითარებლად, „სრულსაქინკოოპკავშირისაგან“ დასკვნის მოთხოვნის შემდეგ, ინსტრუქციები და ცირკულარები და აძლიონ სახელმძღვანელო მითითებანი ინვალიდთა კოოპერაციის საქმიანობის საკითხებზე საორგანიზაციო და შრომის მოწყობის სფეროში;

ბ) აწარმოონ, როგორც უშუალოდ, ისე ქვემდებარე ორგანოების მეშვეობით, ინვალიდთა არტელებისა და ინვალიდთა კოოპერაციის კავშირთა რევიზია და გამოკვლევა;

გ) თვალყური ადევნონ ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთების მოქმედებათა კანონშესაბამობას;

დ) მოაწესრიგონ დადგენილი წესისამებრ არტელების წევრ-ინვალიდთა შრომის გამოყენების პირობები და აგრეთვე განახორციელონ ღონისძიებანი მათი შრომისა და უშიშროების ტექნიკის დაცვისათვის.

25. ინვალიდთა კოოპერაციის საწარმოო საქმიანობის შეთანხმებას სახალხო მეურნეობის ერთიან გეგმასთან, ურთიერთობის დამყარებას მას და სახელმწიფო მრეწველობას შორის, ნედლეულისა, მასალისა და საქონლის საგეგმო კონტინგენტებით ინვალიდთა კოოპერაციის მომარაგების მოწესრიგებას და აგრეთვე ამ კონტინგენტების გამოყენების კონტროლს ანხორციელებს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი.

ინვალიდთა კოოპერაციის სავაჭრო საქმიანობას გეგმავს და აწესრიგებს შინავაჭრობის სახალხო კომისარიატი.

შენიშვნა. ინვალიდთა კოოპერაციის პროდუქციის ფასები განისაზღვრება საკავშირო კანონმდებლობით დადგენილი წესით (სსრკ კან. კრ. 1933 წ. 27 №-ი, მუხ. 161; 1935 წ. 21 №-ი, მუხ. 166).

26. ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთების წლიური ანგარიშები და ბალანსები წარედგინება ზემდგომ კავშირებსა და სოციალური უზრუნველყოფის სათანადო ორგანოებს, ამ უკანასკნელთა მოთხოვნისამებრ, ამ ანგარიშებისა და ბალანსების საფინანსო ორგანოებისათვის წარდგენასთან ერთად საშემოსავლო გადასახადით ინვალიდთა კოოპერაციის შენაერთების დაბეგვრის დროს.

27. ინვალიდთა არტელები და ინვალიდთა კოოპერაციის კავშირები მოეწყობიან და მოქმედობენ იმ წესდებათა თანახმად, რომლებიც შეიდგინება სანიმუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შო წესდების შესაბამისად, რასაც, ამა დებულების მიხედვით გამოსცემს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი, „სრულსაქინკოოპკავშირისაგან“ დასკვნის გამოთხოვის შემდეგ.

ინვალიდთა არტელებისა და ინვალიდთა კოოპერაციის კავშირების წესდებათ და ამ წესდებათა ცვლილებებს ამტკიცებენ სოციალური უზრუნველყოფის სათანადო ორგანოები საქართველოს სსრ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული წესების თანახმად.

„სრულსაქინკოოპკავშირის“ წესდებას, ამა დებულების შესაბამისად, ამტკიცებს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი.

ინვალიდთა არტელებისა და არტელების კავშირების წესდებებს არეგისტრებენ სახელმწიფო რეგისტრაციის ორგანოები.

VIII. ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთებისა და მათი წევრებისათვის მინიჭებული განსაკუთრებული შეღავათები.

28. სხვა კოოპერატიული სისტემებისათვის დადგენილი შეღავათებისა და საქართველოს სსრ-ისა, ა/კსფსრ-ისა და სსრ კავშირის კანონმდებლობით ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთებისათვის (როგორც პირველადი, ისე ზემდგომი შენაერთებისათვის) მინიჭებული განსაკუთრებული შეღავათების გარდა, ამ შენაერთებს აქვთ აგრეთვე ამა დებულების 29, 30 და 31 მუხლებით გათვალისწინებული შეღავათები.

29. ერთიან სახელმწიფო ბაჟს ინვალიდთა, როგორც პირველადი კოოპერატიული შენაერთები, ისე ზემდგომი შენაერთები იხდიან ისეთი რაოდენობით, რაც დადგენილია სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათათვის.

30. მუნიციპალიზებულ და ნაციონალიზებულ სახლებში საწარმოო, სავაჭრო და სასაწყობო მიზნით სადგომების დაქირავებისა და აგრეთვე გადასატან სადგომებში (ფარდულები, კიოსკები, კარვები და სხვა მისთ) ვაჭრობისათვის ადგილების იჯარით აღების დროს ინვალიდთა კოოპერატიულ შენაერთებს აქვთ, სხვა თანაბარ პირობებში, უპირატესი უფლება ყველა თანამაძიებლის წინაშე მიიღონ ეს სადგომები კომუნალურ და სხვა ორგანოებისაგან. ამასთანავე, იჯარით აღებული სადგომებისათვის ისინი იხდიან 50 პროცენტს იმ მინიმალური ტარიფისას, რაც დადგენილია სახელმწიფო საწარმოთა და კოოპერატიულ ორგანიზაციათათვის.

31. ინვალიდთა არტელებში წევრად შესული ინვალიდები ინარჩუნებენ პირად უფლებებს, რაც აღიარებულია ინვალიდებისათვის, და აგრეთვე მათ აქვთ ის შეღავათები და უპირატესობანი, რაც კანონით დადგენილია სარეწაო არტელების წევრებისათვის.

ინვალიდთა არტელების წევრები, რომელნიც მუშაობდენ დაქირავებით არტელში შესვლამდე, ინარჩუნებენ თავიანთ წინანდელ შრომის სტაჟს. არტელის წევრად მუშაობის დრო ჩაითვლება შრომის სტაჟში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IX. ინვალიდთა შენაერთების მოქმედების მოსპობა.

32. ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთი სპობს თავის მოქმედებას კანონით დადგენილი წესისამებრ.

33. ლიკვიდირებული ინვალიდთა არტელის ქონება და ფონდები, ყველა პრეტენზიის დაკმაყოფილებისა და წევრებისათვის საპაიო შენატანის დაბრუნების შემდეგ, გადადის ინვალიდთა არტელების ზემდგომი კავშირის განკარგულებაში.

ინვალიდთა კოოპერაციის კავშირის ლიკვიდაციის შემთხვევაში მისი ქონება და ფონდები განაწილდება ლიკვიდირებული ორგანიზაციის რწმუნებულთა ერების დადგენილებით, რაც შეთანხმებულ უნდა იქნას სოციალური უზრუნველყოფის სათანადო ორგანოსთან.

ფასი 20 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ს. კ. ს-ოს / საქმ. მმართველობა 1935 წ. № 41. პ/მ. რედაქტორი ე. გამრეკელი

ქაღალდის ფორმატი 62×94 სანტ.; 3/4 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი

გადაეცა სტამბას 22/VII; ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/VIII; ტირაჟი 2.000

მთავლ. რწმ. № 3955 საქ. სსრ კომ. საბჭოს სტამბა შეკვ. № 1139